№ 91

პარასკევი 28 აპრილი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 91

პარასკევი, 28 აპრილი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 22



# სახალხო სეირნობა
## საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 25 და 26 მაისს მუშტაიდის ბაღში, და თუ ვინიცობაა ამინდმა ხელი შეუშალა, იმ შემთხვევაში გადადებულ იქნება 28 და 29 მაისისათვის. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

# ქუთაისის ჭაქვიცემულ საზოგადოების საყურადღებოდ.

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო მაღაზია ნ. ა. საბაჯევისა და ფ. ს. ფილიპოვისა ქ. ქუთაისში 1 ივნისიდგან გადატანილ იქმნება ახლად აგებულ თავად ალფონს თუმანიშვილის შენობაში. გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—ნ.—2)

# ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჯიჯინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6 დის.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. მატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბაგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა, შინაგანი და ბავშვებისა და ბავშვებისათვის ყვავილის აცრა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

# პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ნ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ნ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

**მ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

**Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.***
**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**


## მთავრობის განკარგულებანი

ებოძა: კოლეჟსკი სეკრეტრობა ტფილისის მაზრის მომრიგებელ სასამართლოს მდივნის თანაშემწეს თუმანოვს.

## შემოწირულება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ მივიღეთ სოფიო ალექსანდრეს ასულის ბუჭყიევის მიერ შეგროვილი: დრაფის კოფტა, ყმაწვილების ოთხი საკაბე აბრეშუმისა და ბატისტ სა. ოთხნაირი საყმაწვილო სათამაშო, ბავშვის ქამარი, ხელთათმანი, ყელსახვევი, იმის დასამაგრებელი, ოდეკოლონი, ხელის საპონი, სადაფის საფერფლე, ქალის სამი გალსტუხი, საყელო და სამაჯე, ფიშო ქალის ყელისთვის კრუჟოვიანი და ატლასისა, ½ დუჟინი ბატისტის ცხვირსახოცი, 24 გალსტუხი აბრეშუმისა და ბატისტისა, ყმაწვილის შარვლის საჭიმავი.

ეს შემოწირულება ბუჭყიაშვილს შეუკრებია: ალშვანგისა, მირალოვისა, როტინოვისა და ჩარახჩიანოვისაგან.

# ახალი ამბავი

⁂ დიდის მთავრინა ოლგას სახელზედ არსებულ ამიერ კავკასიის საბებიო ინსტიტუტის დაარსების დღიდგან 25 წლის შესრულების გამო მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ აღნიშნულს ინსტიტუტს შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა:

„გულოცავ ჩვენს ინსტიტუტს 25 წლის არსებობას. გულ-წრფელ და მხურვალე მილოცვისა და გრძნობათათვის გულითადად გმადლობთ. ღმერთმან ინებოს, რომ მომავალში უფრო აჰყვავდეს და იზარდოს ამ ჩემთვის ყოვლად ძვირფას დაწესებულების სასარგებლო მოღვაწეობა. შრომისათვის ინსტიტუტის ყველა მოღვაწეთ გულით გმადლობ“.

„მიხეილი“.

ეს დეპეშა ინსტიტუტს შემდეგის დეპეშის საპასუხოდ მოუვიდა:

„ოლგას სახელზედ არსებული ამიერ-კავკასიის საბებიო ინსტიტუტი დაარსებიდგან 25 წლის შესრულების გამო თავისს ბედნიერებადა სთვლის მუდმივის მოწყალე ზრუნვისათვის თქვენს იმპერატორებითს უმაღლესობას თავისი ღრმა პატივისცემით ულსავსე მოლოცვა და მადლობა მოახსენოს. მასწავლებელნი, მოსწავლენი და ინსტიტუტის მზრუნველობის ქვეშ მყოფნი მხურვალე ლოცვას აღავლენენ უფლისა მიმართ თავისს უუგვირგვინოეს მფარველის სადღეგრძელოდ და ინსტიტუტის დამაარსებელის, აწ ღვთივ მიერ განსვენებულის დიდის მთავრინას სულის მოსახსენებლად. დირექტორი ფიშერი“.

აღნიშნული ინსტიტუტი 1873 წ. იქმნა დაარსებული მშობიარეთა დასახმარებლად, მაგრამ 1875-ში საბებიო სასწავლებლად იქმნა გადაკეთებული ორის წლის კურსით, რომლის განმავლობაშიაც მოსწავლეთ ბეჯითად ამზადებენ. 25 წლის შესრულების გამო დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ 20,000 მან. შესწირა ინსტიტუტთან ახალის შენობის ასაგებად საგინეკოლოგო (დედათა) განყოფილებისათვის და 2,050 მან. სხვა-და-სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რომელთათვისაც ყოველ წლიურ სახარჯო თანხიდგან ფული არ ჰყოფნის ინსტიტუტსა.

⁂ მისს იმპერატორებითს უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს პეტრე პავლეს სამრევლო-საეკკლესიო სკოლისა და ამ სკოლის ობოლ მოსწავლეთა თავშესაფარისათვის ახალის შენობის ასაგებად ასი მანეთი შეუწირავს.

# ფელეტონი

### პასუხად ბ-ნ პეტრე მირიანაშვილს

ეხლა მე ვადგენ უბის ლექსიკონს და ამას მოვუნდი სრული ოთხი თვე, თუმცა ეხლა თითქმის დასრულებულია და ამ ორის კვირის განმავლობაში გარდაეცემა დასაბეჭდად. ამ საქმისათვის დამჭირდა, რასაკვირველია, ყველა, აწ არსებული, ლექსიკონების ჩხრეკა-ძიება თავიდგან ბოლომდე. დამერწმუნებით თქვენც, რომ ვთქვა,—რომ დღეს იქნება ჩემსავით არავინ იცოდეს მათი ავი და კარგი, მათი ღირსება და ნაკლულევანება: ყველა ჩვენგანი მიჰმართავს იმ ლექსიკონებს მხოლოდ მაშინ, როდესაც რაიმე მიზეზისა გამო დასჭირდება მას ერთი რომელიმე სიტყვა და სხვა დროს, შიგაც არ ჩაიხედავს. მე ვაპირებ ყველა ამ ლექსიკონების გარჩევას, ხოლო ვუცდიდი „უბის ლექსიკონის“ გათავებას. უპირველესი ამათში იქნება ბ-ნ დ. ჩუბინოვის ლექსიკონი, შემდეგ რ. ერისთავისა და უკანასკნელად ნამდვილი „საქართველოს საუნჯე“, ლექსიკონი საბა-სულხან ორბელიანისა, რომელიც ჩვენდა საუბედუროდ ცოტაოდნად შერყვნილა ბეჭდვის დროს.

ხოლო ამის შემდეგ, როდესაც ქართველობა დარწმუნდება, რომ დღეს ის სრულიად ულექსიკონოდ არის (საბასი ქართულიდგან ქართულად არის და მასთან ბევრი სიტყვა ისეთ ადგილას სწერია, რომ მსურველი ვერ მიაგნებს) და შეიძლება ეს ასე მდიდარი ენა დღეს ჩვენი უზრუნველობისა გამო გამოგვეცალოს სრულიად ხელიდამ. მე ამისათვის დამზადებული მაქვს უკვე, რასაკვირველია, ჩემეური, პროგრამა და ჩემის აზრით, არა თუ დიდი ფული არ დაგვიჯდება, სრულიად არა და ვპირდება-რა, გარდა დაბეჭდვისა და ეს ხომ ამოდენა ქართველობისათვის სულ უბრალო საქმეა.

გავანებოთ ამას თავი და გადავიდეთ თქვენს წინადადებაზედ და იმ მოსაზრებებზედ, თუ რა შედეგი მოჰყვება, ანუ უკვე მოჰყვა კიდეც, მაგისთანა დაუმთავრებელ წინადადებას.

„ის დონისძიება, ჩვენ რომ უფრო სახელდახელო და სამედო გვგონია, შემდეგია“. ჯერ ერთი, რომ სახელდახელო და თანაც სამედო, როგორღაც ერთმანეთთან მოუთავსებელია და მერე, რა ადგილი აქვს სახელდახელოს ისეთ დიდს, საფუძვლიანსა და საშვილი-შვილო საყოველთაო სამუშაო საქმეში, როგორიც არის ქართველებისათვის ამგვარი ლექსიკონის შედგენა.

„თქვენის აზრით საჭიროა სამნაირი მუშაკი. ზოგი შეგნებული და მწიგნობარი (ზოგიც შეუგნებელი და უმწიგნობრო(?)... უნდა ერის ცხოველი საუბრიდგან წერდეს სიტყვებს... ზოგმა ადევნოს თვალ-ყური ნაბეჭდ ჟურნალ-გაზეთობას... ზოგმა კიდევ... ისტორიიდგან და ძველის ხელთნაწერიდგან ამოკრიბოს სიტყვები“... ამითი თავდება სრულიად მთელი მისი გეგმა და პროგრამა, მაგრამ ის მაინც არ იშლის და ჰსურს ცოტა უფრო დაწვრილებით შეგვატყობინოს ზოგიერთი მხარე ამ საქმისა.

ასე მაგალითად: 1) „ეს შრომა, სამნაირად განაწილებული, შესაძლებელია ერთმა ადამიანმაც გასწიოს (თუ ითაოს, იტვირთოს, იკისროს?) მეტნაკლებად(?) ანუ სავსებით...“ აი, როგორც ჰხედავთ, როცა ცოტა დაწვრილებით მოინდომა ახსნა, სადამდე შესტოპა. ის-კი იყო, თვითონვე ამბობდა ამავე წერილში, იქვე, რამდენიმე სტრიქონის ზემოდ, —„დიდ ფაფას დიდი სულის ბერვა უნდოდა, მან (ჩუბინოვმა), როგორც ერთმა, ეს ვერ შესძლო და ამიტომ მის ლექსიკონსაც, ათობით-კი არა, ასობით დააკლდა ისეთი სიტყვა“... ერთს შემთხვევაში თქვენ სწუნობთ მაშინაც-კი, როცა ამ გვარ საქმეს უდგა ისეთი, ყოვლად პატივცემული თქვენ მიერ, დ. ჩუბინოვი თავისის და თქვენის ძვირფასი „საქართველოს საუნჯით“, რადგან, ამბობთ თქვენვე, ამის გამო დიდი დანაკლისი მიეცა ლექსიკონსაო; და მეორე შემთხვევაში, ამ საგულისხმო სიტყვების შემდეგ, თუმცა იცით, რომ ჩვენ გვსურს სულით და გულით ავცდეთ ყოველ გვარ შეცდომებს, მაინც კისერზე გვხვევთ მაგ აზრს.

2) „ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე იმასაც, რომ როგორც ფრანგულ ლექსიკონსა აქვს შეკრებილ გალლიციზმები და პოეტ(ი)ური სიტყვ(ა)ით საქცევები, ისე ქართულის ლექსიკონისთვისაც შეიკრიბოს, თუ შეიძლება ასე ვ(ს)თქვათ, ივერიზმები (უმჯობესია ქართულიზმები, რადგან „ივერია“ ამ საათში გაზეთიცა გვაქვს) და პოეტ(ი)ური სიტყვა-საქცევები“... ამ საგანზედ ჩვენ მისის „მინუშების“ დროს გვექმნება ლაპარაკი და აქ თავს არავის შევაწყენთ.

და 3) აშის, ჩუბინოვის, ქართული ენის საუნჯე თითქოს გავრცელდება და მერე უფრო დაბეჯითებით დაასკვნის: „შესაძლებელი გახდება, განსვენებულის ლექსიკონის გაგრძელებად დაიბეჭდოსო“. ყველაფერი მეგონა და ამას-კი ვერ წარმოვიდგენდი თქვენგან ბ-ნო, პ. მირიანაშვილო! ნუ თუ იმოდენა პრაქტიკული მოსაზრებაც არა გაქვთ, რომ ეგ ყოვლად შეუძლებელია: მე უნდა მქონდეს ხელთ ქართული ლექსიკონი ორ წიგნად და როგორ ორ წიგნად? განა ერთი მეორის გაგრძელება იქმნება,—არა. პირველი იქნება ბ. ჩუბინოვის ლექსიკონი ანიდგან ჰოემდე და მეორე —გაგრძელება მისი კვალად ანიდგან

⁂ ტფილისის საჯარო სამკითხველოს გუშინ წინ შეუსრულდა ორმოც-და-ათი წელიწადი, რაც იგი დაარსდა.

⁂ სამშაბათს, 25 აპრილს, სამეურნეო საზოგადოების საბჭოს შეუმუშავებია და დაუმტკიცებია მორიგს კრებას სტატისტიკურ ცნობების შეკრებისათვის საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა. სულ ამ საქმეს მოუნდება 2300 მანეთი. აქედან 1200 მან. უნდა მიეცეს ჯამაგირად სპეციალისტ-სტატისტიკს, რომელსაც მოიწვევენ. დანარჩენი ფული მოხმარდება ცნობების ბეჭდვასა და სხვა ხარჯს. გარდა ამისა წელიწადში გამოვა ოთხი ბიულეტენი და ყოველ წლიური საზოგადო ცნობების წიგნი.

⁂ მთავარ-მართებლის საბჭოს წევრის კესტერისათვის, რომელიც ამ ჟამად ტფილისის საგუბერნიო დაწესებულებათ რევიზიას უშვრება, მთავარმართებელს დაუნიშნია ამავე რევიზიაში მონაწილეობის მისაღებად საგანგებო მინდობილებათა მოხელე თავადი კურაკინი, რომელიც უკვე ჩამოვიდა პეტერბურგიდგან.

⁂ ამიერ კავკასიის რკინის გზათა უფროსის ე. ლ. ვედენეევის პეტერბურგიდგან დაბრუნებას 6 მაისს მოელიან.

⁂ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს ბ-ნს სვეჩინს დეპეშით ატყობინებს შინაგან სამინისტროსთან არსებული საბეითალო სამმართველო, რომ თერგის ოლქთან მოსაზღვრე მთიან ოსეთის საქონლის გასასინჯად თერგის ოლქის მთავრობას დაუნიშნია 3 ბეითალი. ამათ მისაშველებლად ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის განკარგულებით ერთი ბეითალი კიდევ ტფილისიდგან მიდის.

⁂ ინჟენერს კარნოჟიცკის მდინარე ხელინვარსა და მარლას დაყოლებაზედ აფხაზეთში ( ქვა-ნახშირი აღმოუჩენია და ამის შესახებ მოხსენებაც წარუდგენია პეტერბურგის სამინერალოგიო საზოგადოებისათვის. ნახშირს 72%-მდის კოკსი ურევია, ხოლო გოგირდი ძალიან მცირედი და შვიდ ფრთად არის ჩაყოლილი მიწაშიო. პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, ბელგიელ ფულის პატრონებს უკვე განზრახვა აქვთ თურმე ამ მადნის შემუშავებას 75 მილლიონი ფული მოახმარონ.

⁂ იმ კერძო ამხანაგობისათვის, რომელსაც ხაზინამ შავის ზღვის ნაპირის გუბერნიაში, კელენჯიხის მახლობლად მიწა დაუთმო შესამუშავებლად, სახელმწიფო ქონებათა და მეურნეობის მინისტრს ნება დაურთავს, რომ მეხილეობისა და მევენახეობის შესასწავლად პრაქტიკული სკოლა დააარსოს. სკოლის მზრუნველად ამხანაგობის წევრი, მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი ნ. ა. კორიშევია დანიშნული. სკოლაში პირველ დაწყებითს სკოლებში სწავლა დამთავრებულთ მიიღებენ ორის წლით და გარდა მეხილეობისა, მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობასაც ასწავლიან. სკოლაში შემსვლელნი 15 წლისაზედ პატარები არ უნდა იყვნენ.

⁂ სამოქალაქო კანონმდებლობის გადამსინჯველს კომისიას სხვა ცვლილებათა შორის, რომელნიც განზრახულია თავისს დროზედ იქმნან შეტანილნი, აღუნიშნავს ის ფრიად საყურადღებო საგანიც, თუ მომჩივართა უწყებების ჩაბარება როგორ მოეწყოს უკეთ.

⁂ რადგან ჭიათურიდგან შავი ქვის გაზიდვამ ერთობ იმატა, კავკასიის რკინის გზის გამგეობას შუამდგომლობა აღუძრავს რკინის გზების მმართველობის წინაშე, რათა მომატებულ იქმნას ჭიათურის რკინის გზაზე ვაგონებისა და მატარებლების რიცხვი.

⁂ როგორც შევიტყეთ, მთავრობის ნება-დართვით ქალაქ ქუთაისში ამა 1900 წლის მაისის შუა რიცხვებში მოხდება შავის ქვის მწარმოებელთა მესამე კრება სხვა-და-სხვა საგნების გამოსარკვევად.

⁂ ამას წინად ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა მოხსენებული დ. ჭიათურაში შავი ქვის მწარმოებელის პანასიეს მმართველის ნ. ვოტრენის დაჭრის შესახებ. ეხლა კიდევ გვატყობინებენ, რომ საჩხერის განყოფილების გამომძიებელი ბ-ნი ეზერსკი ერთს კვირაზე მეტი იქნება საქმის გამოძიებაშია, რომელსაც ბოროტ-განმზრახველთა კვალისათვის უკვე მიუგნია და საკმაოდ ხელ-ჩასაჭიდებელ საბუთების მიხედვით უკვე დაუპატიმრებია ვოტრენის ხელქვეითი ჩაჩნები—ზურაბა და მისი ძმა ჯამბათოვები, რომელთაც, როგორც ამბობენ, აღმოსჩენიათ ერთ-გვარი სისტემის დასაკეცი თოფი, რომლითაც უნდა იყოს განზრახული ბ-ნ ვოტრენის მოკვლა. ბ-ნი ვოტრენი იმდენად უწყინარი კაცია, რომ მისმა დაჭრამ ჭიათურის საზოგადოება მეტად შეაწუხა.

⁂ ამ ორი-სამი წლის განმავლობაში განჯის გუბერნიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების განყოფილების მოქმედება სრულიად შეწყვეტილი იყო სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო. წელს განჯის გუბერნატორის გენერალ-მაიორის ი. პ. კირეევის თავმჯდომარეობით 4 მარტს შესდგა განყოფილების წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც გამოირკვა მიზეზნი საზოგადოების მოქმედების შეჩერებისა და აგრეთვე მოხსენდა კრებას განყოფილების ქონებრივი მდგომარეობა. როგორც კრების ანგარიშიდგანა სჩანს, ამ საზოგადოებას დღემდის ძალიან აწეწილ-დაწეწილი ჰქონია საქმეები; ქონება განყოფილებისა ფულად ეხლა 300 მ., უდრის. კრებას, სხვა-და-სხვა საგნების განხილვის შემდეგ, ამოურჩევია საზოგადოების განყოფილების მოსამსახურენი: საბჭოს წევრნი, მდივანი და ხაზინადარი. საბჭოს წევრად ამოურჩევიათ ბ-ნი ი. ლ. სეგალი, ხოლო მდივნისა და ხაზინადრის თანამდებობის აღმასრულებლად—ე. ა. კამენეცკი.

⁂ ქიზიყი. სათავთაოდ ყელ-მოღერებული ყანა-ქერებით აღსავსე ალაზნის თვალ-გადაუწვდენელი მინდორი ზღვასავით ჰღელავს. ყოველს მოსავალს მაწოსალ ჩინებული პირი უჩანს და შესაფერი ამინდიც ადგია ჟღერ-ჟღერობით. ღვინის ფასმა აიწია. ცხვარს უწორუზიანო დოლი ჰქონდა კაი გაზაფხულის გამო და სამთოდ გაემზადა კიდეც. თუშ-ფშავ-ხევსურთა ცხვარი უკვე დაიძრა ყიყილ-ხივილით ქიზიყის ხასხასა ველ-მინდვრებიდამ. მატყლის ჩარჩ გაჭრები თავიანთ შეთოფ-იარაღებულის ამალით დიდის ამბით დააქროლებდნენ მინდვრებში გამალებულ-იორღა ცხენებს და ნახევარ ფასად ყიდულობდნენ გაზაფხულის მატყლს, რის გამოც მეცხვარეები მწარე ოხვრა-გმინვით ამბობდნენ: „ახ, ნეტავი როდის გვეღირსება ი რაღაცა საამხანაგო მატყლის საწყობი“. ამასავე ნატრობენ დღეს თავისთვის ქიზიყის მრავალნი მეთამბაქოენიც, კერძო გაჭრებისაგან ათასგვარ მოტყუების ჯვარზე ნაცვამნი, და დროა სული დაალევინონ უანგარიშო მეცხვარე-მეთამბაქოეთა ბედის ჩარხის უგულმა ტრიალს აღმა ასაბრუნებლად.

⁂ ოზურგეთი. როგორც შევიტყეთ, რამდენიმე აქაური ახალგაზდა აარსებს ამხანაგობას, რომელსაც ერქმევა „შრომა და კაპიტალი“. ამხანაგობის წესდების პროექტს უკვე ამზადებენ ნოტარიუსში დასამტკიცებლად. პაი ეღირება 30 მანეთი და აზრადა აქვს ამხანაგობას ხელი შეუწყოს ადგილობრივ მცხოვრებლებს ყოველივე საჭირო საქონლის გაიაფებით.

⁂ ს. ქორეთი, (შორაპნის მაზრა). 11 აპრილს, აღდგომის სამშაბათს, ერთი მეტად შემაწუხებელი მკვლელობა მოხდა აქ. ამ დღეს ყოველ წლობით დღესასწაულობს ეს სოფელი და გარეშემო სოფლებიდგანაც დიდ-ძალი ხალხი იყრის თავს. განსაკუთრებით წლეულს ხელი შეუწყო ამინდმაც და ბევრი ხალხი მოგროვდა. ნასადილევს ხალხი ეკლესიაზედ გავიდა, სადაც ცეკვა-თამაში გამართეს. სხვათა შორის თემობას დაესწრნენ ძმანი კობახიძეები და დაბა საჩხერეში მცხოვრებნი—კალმახელიძე და ქამუშაძე, რომელთაც სულ უბრალო მიზეზით ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ. ჩხუბის დროს ხანჯლებით მოკლულ იქმნა ერთი ძმა კობახიძე და მეორე სასიკვდილოდ დასჭრეს; რამდენისამე დღის შემდეგ მეორე დაჭრილი ძმაც გარდაიცვალა. დამნაშავენი კალმახელიძე და ქამუშაძე უკვე შეიპყრეს და ქუთაისის საგუბერნიო საპატიმროში გაჰგზავნეს.

⁂ ს. კავთისხევი, (გორის მაზრა). ამ ჟამად კავთისხევში ძალიან ცუდი დარებია და თითქმის ყოველ დღე სწვიმს. საშინელ ტალახებისაგან ქუჩებში შეუძლებელია სიარული. თუ ამგვარად გასტანა ავდრებმა, შესაძლებელია ნათესები სრულიად ამოალპოს. რაც შეეხება ვენახებს და ხილეულობას, არც ესენია კარგს მდგომარეობაში, რადგან ამ დღეებში საშინელი რთვილი დაასხა და სრულიად გაახმო ქორფა კოკორი. სანიტარულის მხრივ ხომ მეტად ცუდს მდგომარეობაშია კავთისხევი, რადგან მთელი ზამთრის განმავლობაში მოგროვილი სასუქები ისევ კარებზედ ყრიათ. სხვათა შორის მიზეზი ესეცაა, რომ აგერ მესამე წელიწადია კავთისხეველებს აღარ ეძლევათ ცეიბ-ცხელება, რომლიც ამ ბოლო დროს სასოფლოდ გარდაიქცა და სამკურნალო ღონისძიება-კი არსაით არის. მკურნალი აქ არ არის და გარედგან მოყვანა მეტად ძნელია სიშორისა გამო (30 ვერსის გორამდე). ან სად აქვს გადატკეპნულებს 30—25 მანეთის გარდახდის თავი.

⁂ 25 აპრილს, საღამოს 5 საათზედ, ილია გიორგობიანის დუქანში, რომელიც ორბელიანთა ქუჩაზედ იმყოფება, ქუთაისის გუბერნიის გლეხთ ერეკლე ჯოხაძესა და ლუკა ხახლიანიძეს ჩხუბი მოსვლიათ, რომლის დროსაც ჯოხაძეს ხახლიანიძე ხანჯლით დაუჭრია თავში. დამნაშავე შეპყრობილია, გამოძიება სწარმოებს.

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება

27 აპრილი

წაკითხულ იქმნა 26 აპრილის კრების ოქმი. მცირეოდენ კამათის შემდეგ ამ ოქმის გამო რწმუნებულმა თავ. ვ. ჩერქეზიშვილმა განაცხადა, ვიდრე გამგეობის ანგარიშს დავამტკიცებდეთ, საჭიროა წავიკითხოთ გამგეობის მოხსენება ბაქოს სააგენტოს 1899 წლის მოქმედების შესახებ, რადგანაც ამ მოხსენებას მეტად დიდი კავშირი აქვს ანგარიშთანაო. თავმჯდომარე დაეთანხმა თავ. ჩერქეზიშვილის აზრს და მდივანი შეუდგა კითხვის ბანკის გამგეობის მოხსენებისას 1899 წლის განმავლობაში ბაქოს სააგენტოს მოქმედების შესახებ.

---

ჰოემდე. წარმოგიდგენიათ თქვენ, ამისი სიძნელე და მოუხერხებლობა?

ვთქვათ ეს ერთი მოუხერხებლობა შეიძლება აიცდინოს თავიდგან და ერთად დაიბეჭდოს-თქვას, მაგრამ მასთან ერთად, რის გაგრძელება, როგორც ის ეძახის, უნდა იყოს ჩვენი ახალი ნაშრომ-ნაჭირნახულევი? არ ვიცი, თუ საქართველოს ძირობაზედ მოიძებნებოდეს კიდევ ბ-ნ პ. მირიანაშვილისებური გვამი, რომელიც, ამასავით აღმერთებდეს ჩუბინოვს და სწამდეს ესე მისი „საქართველოს საუნჯე“.

რისაგან მოხდა ეს, მე აგიხსნით.—ჰხედავს ბ-ნი პ. მირიანაშვილი უზარმაზარი რამ არის, გამოცემული პროფესორის საფასით, შემადგენელი მისიც აკადემიკად შერიცხულია და უკანასკნელად, უნახავს თვითონ თავისი თვალით მეხანიკა ბ-ნ ჩუბინოვის მუშაობისა. ყველა ეს საკმარისი იყო მისთვის, რომ თუნდ მის დღეში არ აეღო ხელში ეს ლექსიკონი, მით მაინც სულ მის ქებადიდებაში ყოფილიყო. და რომ ეს სრული სიმართლეა და რომ მას მის დღეში არ სჭერია ხელში არც ერთი ქართული ლექსიკონი, ამას თვით დავანახვებ, ეხლავ, როცა იმის „მინუშების“ გარჩევას შევუდგები და, იმედი მაქვს, თქვენც დამემოწმებით.

ბ. პ. მირიანაშვილი სთხოვს ყველას, გამოგზავნონ რედაქციაში, ვისაც რა ჰქონდეს ამ გვარი მასალაო, მაგრამ პირველი თითონ გამოუგზავნია ნიმუშად და კარგადაც უნებებია.

უპასუხოდ გაშვება ამ გვარი წერილებისა, სადაც ენა საშინლად წარყვნილია და რომელსაც, როგორც დაბეჭდილს სიტყვას, ისე უყურებს ხალხი—თითქო ოფაზიაო (ბაჯაღლო),—შეუძლებელია! ერთის მხრივ სწორედ ამითია ეს წერილიც გამოწვეული.

შევუდგეთ ეხლა მის „მინუშების“ განხილვას. წარმოუდგენია მას რიცხვით სულ 119 სიტყვა, საიდგანაც მხოლოდ 47-ია ნამდვილი პროვინციალური სიტყვა, ხოლო ამასაც უნდა გამოაკლდეს, სრულიად აუხსნელი და ანუ ახსნილი, მაგრამ ახსნით უფრო გაუგებრად შექმნილი, 7 სიტყვა. დანარჩენი 79 სიტყვა სრულიად უადგილოა.

1, მოჰყავს 21 სიტყვა, მხოლოდ იმისთვის, რომ მიუწეროს გვერდში ასე: ა) ბეჭი, ბეჭის ძოთლა კიკნაძესი, ბ) ზარბაზანი (ქვე მეხი); აქციელდეს კაცხის ზარბაზანი გ) კვანტი (?) გოცირიძისა დ) მარანი ასათიანისა ვ) სროლა (ქობულეთური) ქობულური ე) მწვადი, წერეთლისა, ე. ი., გრძელ(ი) და თაფლა? (კარგად სცოდნია რისთვის არის გამხდარი საანდაზოდ). ეს საკმარისია, რომ მივხვდეთ მის წადილს: სჩანს ეს უნდა იყოს ის „გალლიციზმები“ და პოეტ(ი)ური სიტყვ(ი)ათ საქცევები, რომლებსაც გვთხოვს—„ყურადღება უნდა მიექცესო“.

მე-კი არ მესმის ამის მნიშვნელობა, ვფიქრობ, ვცდილობ და ვერ მივმხდარვარ. ყველა მოჰყავს, ვინც უბანში ან სოფელ-დაბაში საანდაზოდ გამხდარა რაზედმე, რომ მით ალბად უკვდავ ჰყოს მათი სახელი. ზოგს ისე ჰბეჯითობს, რომ ორჯელ მოჰყავს, მაგალითად კიკნაძე, სიტყვასთან ბეჭი—ცალკე და იმავე მნიშვნელობით ცალკე სიტყვა მოუკიკნაძურება“. ზოგს უფრო მეტ სიკეთეს უშვრება: იქ, სადაც ქურდობა მოჰყავს (განგებ ამისთვის), მიუწერია, „ქურდობა მეგრული“, სჩანს, სურს, რომ ესეც, მეგრელების ესეთი კაი თვისება, იმ ლექსიკონის წყალობით სახსოვარ ჰყოს საუკუნოდ.

თუ მაგაზეა საქმე, იმდენს მოგაყრით პირად მე თითონ მაგისთანა „ქართულიზმებს“, — რომ იქმნება მალე ქართველობას გაუჭირდეს მისი დაბეჭდვა.

2), დიდის გულის წუხილით, რადგან მათ ბინა არა აქვთო, მოჰყავს შემდეგი სიტყვები: არნაბი, ავყია, ასაკი, ალსარებული, აბრა, არაჟანი, დახემსება, მინდი, მემინდე, მზირყოფა, მემთვარ(ი)ე, ნირი, რასი, სათუო, საბუთი, ყიამყრალი, ყორღნა, შეთავეზა, ხათრითი, ჩობანი. ამათში ერთია, რომელიც ლექსიკონებში არ არის შეტანილი, არაჟანი, მაგრამ მის საუბედუროდ, აქაც დაასწრეს და ამ რამდენიმე წლის წინად შეიტანა თავისს ლექსიკონში ბ-ნმა სახოკიამ. ცხადია ყველასათვის, რომ აქ არც ერთი სიტყვა არ არის ახალი და, მაშასადამე, ლექსიკონებშიაც უნდა იყოს მაგრამ, ცხადია ისიც, რომ მას და ქართ. ლექსიკონებს მძვინვარე ომი აქვთ ურთიერთ შორის გამოცხადებული. მით მაინც არ შემიძლიან, არ შევასწორო რამდენიმე სიტყვა. შემსწორებელი იქმნება სულხან-საბა ორბელიანი, რომელმაც 215 წლის წინად შეგვიდგინა ლექსიკონი.

| ბ-ნი მირიანაშვილი | ს.—ს. ორბ. ლექსიკ. |
|---|---|
| ა) ავყია, უზმაწურად მოლაპარაკე იმ. (რადა?) ყიამყრალა, მაგინებელი. იმ. | ა) ავყია, ყიამყრალა შავთი—ბოროტი მოამბე. |
| ბ) ასაკი...; ზომი. სა, მოწიფულობის დრო. | ბ) ასაკი—ჟამთა საზომი კაცთა. |
| გ) მზირ-ყოფა, დარაჯობა. | გ) მზირი—მსტოვარი; მსტოვარი არს აეშაგი, მომხილავი ქვეყანისა, გინა მტერთა ლაშქართა. |
| დ) რასი, საკითხი. | დ) რასა—კითხვა თუ მაცოდინე? |
| ე) ფშალა, მხალია იმ. (აუღსნათ, მადლია!) | ე) ფშალა—სვია. |
| ვ) უნდო, უნდონი (ნივთნი არ სანდონი?) | ვ) უნდო—არაღ სახმარი. |
| თ) ჩოგანი, ღომის ქაფის მოსახდელ(ი) დასაგები. | თ) ჩოგანი—არის მცირე ხისაგან შექმნილი, ნიჩბის მსგავსი შემბობილი (მოხარშული) ღომის შესალესად და მოსაღებლად. |

3, ამოუკრებია საიდგან, ღმერთმა იცის, ძველის ძველი, სპარსულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხსენებაში ნათქვამია, რომ გამგეობა მიაქცევს რწმუნებულთა კრების ყურადღებას ერთს სამწუხარო მოვლენას, რომელმაც თავი იჩინა ამა საანგარიშო წელს და, შედარებით, ბანკს საკმაო ზარალი მიაყენა. ეს ზარალი შევავსეთ საანგარიშო წლის მოგებიდგან, ხოლო ნაწილი ზარალისავე უნდა შევსებულ იქმნას მიმდინარე წლის მოგებიდგან. ასეთი შემთხვევა ჩვენს ბანკს ამ ოც-და-ექვსის წლის არსებობის განმავლობაში არ მოსვლიაო. ეს ზარალი, რასაკვირველია, არც ისე დიდია, რომ ბანკს ხელი შეუშალოს სამოქმედოდ და ან მან ვერ შესძლოს და პირნათლად ვერ გასცეს პასუხი თავისს მოვალეობას, მაგრამ მაინც საგრძნობელია საზოგადო სასარგებლო საქმეთათვის, რომლისთვისაც დაარსებულია ბანკი მისთა დამფუძნებელთა კეთილშობილ განზრახვითაო. ამ ბანკის ყოველი კაპეიკი ძვირფასია, რადგან იგი ხმარდება საზოგადო საქმესო. მიზეზი ამ უბედურებისა გამგეობის ერთი წევრთაგანია, რომელიც 1898 წელს იქმნა ამორჩეული და რომელმაც ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება ბაქოს საагენტოს მართვის დროს.

როგორც მოხსენებიდგანა სჩანს, ბანკის გამგეობას 1898 წლის 25 სექტემბერს დაუარსებია ბაქოში საագენტო და მისი მართვა მიუნდვია გამგეობის წევრის პ. რ. ყიფიანისათვის, რომლისთვის განსაკუთრებული სამოქმედო ინსტრუქცია მიუცია. ამ დროიდგან პ. რ. ყიფიანი ყოფილა ამ საագენტოს გამგე და მმართველი. ამ გამგეობას სამ ხანად ანაწილებს ბანკის გამგეობა. პირველი ხანა იწყება 1898 წლის სექტემბერს 1899 წლის 16 იანვრამდე. ამ დღეს რევიზია გაუთავებია ბანკის გამგეობის თავმჯდომარეს; მეორე ხანა,—1899 წ. 16 იანვრიდგან იმავე წლის 1 მაისამდე, როდესაც გათავებულა მეორე რევიზია, დაწყებული ზედამხედველ კომიტეტის მოწადინებით. ეს რევიზია მოუხდენია კომიტეტის სამის წევრისა, გამგეობის ერთის წევრისა და უფროსის ბუხგალტერისაგან შემდგარს კომისიას. მესამე ხანა იწყება 1899 წლის 1 მაისიდგან საქმის გამორკვევამდე. პირველ ხანაში რევიზიას აღმოუჩენია ორი მცირე-მნიშვნელოვანი წეს-რიგის დანაკლისი, დანარჩენი ყოველივე წესიერად ყოფილა, რასაც ჰმოწმობს მეორე რევიზიაც, რომელსაც თავიდგან დაუწყია საქმეების განხილვა. მეორე ხანის განმხილველს რევიზიას მრავალი დანაკლისი და უსწორ-მასწორობა აღმოუჩენია, თვით-ნებითი მოქმედება გამგეობის წევრისა სესხის გაცემის დროს, თვით-ნებისად ბანკის ფულის თავისთანა და თავისს ნაცნობებთან შენახვა, ანგარიშში უწესოდ ჩაწერა, სიყალბის მაგვარი მოქმედებანი. ყოველმავე ამან იძულებულ ჰყო თურმე ზედამხედველი კომიტეტი პ. რ. ყიფიანი სამართალში მიეცა, ამიტომ განუცხადა კიდეც ეს ამბავი ბრალმდებელს და გამოძიება დაიწყო. ამ მეორე ხანის განმავლობაში ბანკს ზარალი მოსვლია სულ 118 მან. 34 კაპ., დანარჩენი ქონება ბანკისა ნაღდ ფულად და ფასიან ქაღალდებად ხელ უხლებელი ყოფილა.

პარვა და ფლანგვა ბანკის ქონებისა პ. რ. ყიფიანს დაუწყია 1899 წლის 1 მაისიდგან, მეორე რევიზიის შემდეგ. აი, რა გვარად შეუტყვია ბანკს ეს ამბავი: 1) ბანკის გამგეობას 1899 წლის 1 სექტემბერს დაუგზავნია მსესხებელთათვის უწყებანი, რომ ვინც სავადო გარდასახადს დროზედ არ შემოიტანს, მამული გაეყიდებაო. ბაქოს რამდენისამე მსესხებლისაგან მოსვლია წერილი, რომ ჩვენ ჩვენი სავადო გარდასახადი უკვე ჩავაბარეთ ბაქოს აგენტს და ამის დასამტკიცებლად ბარათები წარუდგენიათ. ამითი აღმოუჩენია ბანკის გამგეობას, რომ პ. რ. ყიფიანს 1899 წლის 22-დგან 30 მაისამდე სხვა-და-სხვათაგან მიუღია სავადო გარდასახადი 4249 მან. 5 კ., მიუცია ბარათები და ამ ფულის მიღება-კი დაუფარავს საագენტოს ანგარიშში, თუმცა დავთრებში-კი აღნიშნული ყოფილა. 2) ახალს აგენტს ბაქოსას შეუტყობინებია ბანკის გამგეობისათვის 1899 წლის 30 სექტემბერს, რომ ერთი მსესხებელთაგანი გვედავება 15,000 მან., რომელიც პ. რ. ყიფიანს დაუკლია ამ მსესხებლისათვის ბანკის მიერ ნება-დართულ 50,000 მან. სესხის მიცემის დროსაო. ამ მსესხებლის საანგარიშო ფურცლიდგანა სჩანს, რომ მას უნდა მისცემოდა 50,000 მან. სესხი გირავნობის ფურცლებით ისე-კი, რომ ამ ჯამიდგან უნდა გამოექლოთ 16,225 მან. სავადო გარდასახადისა და ძველის ვალის დასაფარავად და 30,000 მან. იმ დრომდე, ვიდრე დაგირავებულს სახლს მსესხებელი სრულიად შეაკეთებდა. პ. რ. ყიფიანის 1899 წლის მაისის თვის ანგარიშში მოხსენებულია, რომ ამ მსესხებელისაგან 16,580 მან. 7 კაპ. მიღებულია ნაღდ ფულადაო, ეს ფული-კი აღარსად აღმოჩნდა და არც კასსის წიგნში იყო ჩაწერილი. ანგარიშში ყიფიანმა ეს ფული ხარჯში გამოიყვანა და ამითი ანგარიში ვითომ სწორედ გაჩვენა, ნამდვილად-კი ეს ხარჯი არა ჰქონოდა. ამ გვარად ეს 16,225 მან. დაეკარგა ბანკს. ამ სესხის გაცემის დროს, როგორც ვთქვით, ყიფიანს უნდა დაეჭირა მსესხებლისაგან 30,000 მან. გირავნობის ფურცლებით, ხოლო როდესაც მსესხებელმა სახლი ჯეროვანად შეაკეთა, უნდა მიეცა მისთვის ეს გირავნობის ფურცლები პირველ თხოვნისათანავე. ამ 30,000 მან. გირავნობის ფურცლებიდგან ყიფიანს ორჯერად მიუცია მსესხებლისათვის 20,000 მან. გირავნობის ფურცლები და ხელ-წერილიც ჩამოურთმევია. დანარჩენ 10,000 მან. გირავნობის ფურცლების შესახებ-კი დაგირავებულ მამულის დათვალიერების 1899 წლის 1 ივნისის ოქმში მიწერილია ყიფიანის ხელით, რომ ესეც მიეცა მსესხებელსაო, მაგრამ ამისი საბუთი-კი არსად არის, არც ბარათია მსესხებლისა, რომ ეს გირავნობის ფურცლები მიეღოს. ამ გარემოების გამო, რომ მსესხებელს ხელთ ბანკის საანგარიშო ფურცელი ეჭირა, რომელშიაც აღნიშნული იყო,—ბანკს დაჭერილი აქვს 30,000 მან. გირავნობის ფურცლებადაო, ბანკს რითიმე უნდა დაემტკიცებინა, რომ დაუბრუნა ეს ფული, და დამტკიცება კი მხოლოდ 20,000 მან. ჰქონდა. ამ მიზეზით ბანკის გამგეობამ მსესხებელთან მორიგება არჩია და მოურიგდა კიდეც, მისცა მსესხებელს ნაღდ ფულად 6,373 მან. 33 კაპეიკი.

ამ რიგად მთელი ზარალი, რომელიც პ. რ. ყიფიანმა ბანკს მიაყენა ეს არის: 1) 4,249 მან. 5 კაპ. სავადო გადასახადით ანგარიშისა; 2) 16,225 მან. 90 კაპ, ზემოდ დასახელებულ სესხისა და ამ სესხის სავადო გარდასახადის ანგარიშისა; 3) 6,373 მან. 33 კაპ. ის ფული, რომელიც მსესხებელს გადაუხადა ბანკმა დაკლებულ გირავნობის ფურცლებში; 4) 8 მ. 43 კ ყველა ანგარიშის დანაკლისი, სულ—26,856 მ. 76 კ. ამ დანაკლისის აღსადგენად 20,428 მან. 78 კაპ., უკვე საანგარიშო წლის მოგებიდგან იქმნა შევსებული, ხოლო დანარჩენი მიმდინარე წლის ანგარიშიდგან იქმნება გასტუმრებული, რადგანაც ეს ნაწილი ზარალისა გამოირკვა ამა მიმდინარე წელს.

შემდეგ მოხსენებაში გამგეობა ამბობს, რომ ბანკს ამის მეტი არავითარი ზარალი არ მოელის ბაქოს სააგენტოსაგან. რადგანაც თუ სხვა კიდევ ზარალი იყო რამე, აქამდე უნდა გამორკვეულიყოო. სავადო გარდასახადები იმ სესხებისა, რომელიც საагენტოს პ. რ. ყიფიანის გამგეობის დროს გაუცია, ბანკში ჯეროვანად და წესიერად შემოდის. რაც შეეხება დანარჩენ ქონებას ბანკისას, იგი ხელ-უხლებელია. „ყოველ ამას გარდა, ნათქვამია დასასრულ მოხსენებაში, არის ერთი საქმეც, რომელიც ამ ჟამად სასამართლოში სწარმოებს და რომლითაც ერთი მსესხებელთაგანი ბანკს 39,600 მანეთის გირავნობის ფურცლებს ედავება. ეს გირავნობის ფურცლებიო, ამბობს მსესხებელი, პ. რ. ყიფიანს გარდავეცი საკომისიოდ გასასყიდათო. ბანკის გამგეობას საფუძველი აქვს წესიერად არ იცნოს მსესხებელის მოთხოვნილება და ამიტომ მან გადასწყვიტა ეს საქმე რწმუნებულთა წრევანდელს კრებას არ წარმოუდგინოს განსახილველად და განსაბჭობად, ვიდრე სასამართლო თავის საბოლოო განაჩენს არ დაადგენს".

მოხსენების წაკითხვის შემდეგ რამდენმამე რწმუნებულმა მოითხოვა წაკითხულ იქმნას ყველა ამ საქმის შესახები ქაღალდები: დადგენილებანი საագენტოს დაარსებისა და ბ-ნის ყიფიანის ბაქოში დანიშვნის შესახებ, ამ საагენტოსათვის შემუშავებული ინსტრუქცია, საагენტოს სარევიზიოდ გაგზავნილ რევიზორების მოხსენებანი, დადგენილებანი ამ მოხსენებათა გამო გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტისა, დამფასებელ კომისიის წევრად ნამყოფის თავ. თუმანიშვილის განცხადებანი და სხვანი. სხვათა შორის ბ-ნმა ხუდადოვმა განაცხადა, სასურველია იმ საქმის შესახებაც გვქონდეს ლაპარაკი, რომელიც სასამართლოში სწარმოებს ამ ჟამადო. მაგრამ ამ აზრს წინ აღუდგნენ ბ-ნი საყვარელიძე და სხვანი: ვიდრე სასამართლო თავისს განაჩენს არ გამოაცხადებს, მანამდე ამ საქმის გამო ლაპარაკი ყოვლად შეუძლებელიაო. კრებაც ამ აზრს დაეთანხმა.

შემდეგ მდივანი შეუდგა ოქმების კითხვას. წაკითხულ იქმნა: 1, ბანკის წევრთა 1898 წლის 21 აპრილის საზოგადო კრების დადგენილების ოქმი ბაქოს საагენტოს დაარსების შესახებ; 2, ინსტრუქცია ბაქოს საагენტოს მართვა-გამგეობისა; 3, ზედამხედველ კომიტეტის 1899 წლის 27 მარტის სხდომის ოქმი; 4, პირველ რევიზიის ოქმი; 5, მეორე რევიზიის მოხსენება და ზედამხედველ კომიტეტის ზოგიერთი სხვა სხდომების ოქმები.

შემდეგ კრება საღამოს 8 საათისათვის გადაიდო, რომლის ანგარიშსაც ხვალ დავბეჭდავთ.

---

## უცხოეთი

—

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.**

ინგლისის ჯარის უფროსმა სარდალმა

---

ოსმალურ ენებიდგან ოდესმე შემოტანილი და წუწუნებს,—უბინაოდ არიან დარჩომილებიო.—აზირ (სპარ. ჰაზერ)—ქარ. რახამ; ყარამანდელა (საშაღუგრე შავი ქსოვილიო)—თათ. „ყარა" ნამდვილად შავია და „მანდ" არმახსოვს სპარ.—თათრულია? გულ აპარი (გულის ასაფარებელი ბავშვთათვისაო); არ ვიცი საიდგან და როგორ უნდა მოჰხვედროდა იმერეთში ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით. არის ზღაპრებში სულამბარა, გულამბარა,—გოლ. სპ. ყვავილი, ამბრ (თუ არ ვცდები) სპ. სუნნელი. და ყორღვნა და ყორღანის მაგიერი ხომ არის ნამდვილი სიტყვა ქარ. ენაზედ: ზორდა. რომ სჩივის უბინაოაო,—ისიც სამწუხაროა, რომ იმან გაალვიძა დღეს. საბას არც ერთი უცხო სიტყვა არა აქვს თავის ლექსიკონში, თუ იცის, რომ ქართული არ არის.

4, კარგი ახსნა (სხვაც მრავალია): გატეხა—ავქაშს გავტეხ, ე. ი. სანაძლეო და (ქათმის მკერდის მკალს გავტეხ). რა უნდოდა ეთქვა? ავქაში არ არის ქართული. არც ქათმის არც სხვა სულიერის მკერდი არ შესდგება ერთის ძვლისაგან, რომ მივხვდეთ. იმ ძვალს ჰქვიან საზოგადოდ ლავიწი (კლიუჩიცა), ხოლო ფრინველისას, რომელსაც რუს. ეძახიან (დუჟკასაც) „ჰქვიან ჰილვი. „სათუო ავადმყოფის უკეთ ანუ უარესად გახდომის დრო". ეს დრო ის დროა, რომელსაც მეცნიერები ეძახიან „კრიზისს" და ეს შეუძლებელია, რადგან სათუო ჰნიშნავს საიჭვოს. აბა გამოიცანით, რა უნდოდა ეთქვა? ლაგორა წისქვილის ხვიმირიდგან გამოსულის ხორბლის ჩასაყრელია დოლაბზედ. ლარძაყანი, გადასაკიდელი ძელი ფინის დასაჭედად.

5, სრულიად უმნიშვნელოდ მოყვანილი სიტყვები: „მხარს-იღიღავ." საქარ. ისტ. თეიმ. ბატ. (!?!),—შუასამხარი... შუა საზხრისოდენ (?!). სიდ. დედ. ქ. ცხ. ნაწ. I.

6, სრულიად დაუჯერებელი (გამოგონილი): „დაბმა... დააბეს ბასტი (სპ.), ე. ი., სიარული გააბეს. ქართ". არ ვიცი თუ რომელი ქართველი დაემოწმება! „ბოჩოლა... ცხოველთა ტყავი გატენილი რითიმე". ეს გამოდის „ჩუჩელო". არც წყარო აქვს ნაჩვენები. ბოჩოლა-კი, რო დავეკითხოთ საბას, „ბოჩოლა—სახარე წლამდის" (იხ. სიტ. ზროხა).

7, აი ეხლა შეუდგებით ნამდვილ სასაცილო ამბებს ანუ, როგორ იტყვიან, „კურიოზებს". თქვენ წარმოიდგინეთ, საცა-კი თვალს მოჰკრავს, რაიმე დაბეჭდილ სიტყვას ანუ ყურს მოჰკრავს სადმე (ვინც უნდა იყოს მოსაუბრე) მისთვის ახალ სიტყვას, გაუსინჯავად იჯერებს და ერწმუნება. მასთან მას სჭურს უსათუოდ ჩვენც კისერზედ მოგვახვიოს, შეგვაბრალოს და, როგორც უბინაო სიტყვები, ლექსიკონში შეგვატაინოს. აბა ვნახოთ სათითაოდ ყველა ეს სიტყვები.—1, დაჭყარჭყალიტება, ტანის აჭრელება, ველურმა ხალხმა რო იციან. გაზ. „კვალი". რა უგავს ამას ან აზრით ან სხვაფრივ „ტატუიროვკას"? დასჭირდათ საჩქაროდ, როგორც ეს გაზეთებს ხშირად უხდებათ ხოლმე და ასე იხმარეს. 2, „ბეფხვ-აქლები", გარეული ცხოვ. გაზ. „კვალი". ეს უნდა იყოს „ჟირაფი" და აღებული იქნება რაფიელის ლექ. საბას აქვს ეგევე ცხოველი და უქვია „ბეჟანია" (მქონდა ამა სახელით წერილი და იგი „ჯეჯილის" რედაქციაში დატყვევებულო). 3, ასანგი, ჯალათი აზიათ. ლვ. ქ. ცხ. ნაწ. I.". შესაძლებელია, ან გადამწერთ გადაეკეთებინოთ ან თვითონ არა ქართული ეხმაროს, როგორც დღემდე იხმარება ჯალათი (სპ. ჯალად). ამისი აღმნიშვნელი ერთად ერთი სიტყვაა და როგორც ძველ წიგნებში ისე ლექსიკონებში სულ „ქონდაქარი" შემხვედრია. 4, საჟამური, საათი. ქართ." ჟამი—1 საათი და „ურს", არ ვიცი, ქართლელები რად ჩაუმატებდნენ. „საჟამნე—ჟამთ მაჩვენებელი" (იხ. ს. ს. ო. ლექს.) 5, „ნირი... ნირის შეშლა, ე. ი. გონების დაფანტვა (ორჯელი აქვს)", ყოჩაღ! მიკვირს სულ ქართლს აწერს ამისთანებს! 6, „ნაფაშური"... ნაფაშურზე ღრიალი, ე. ი., გვიან მოსვლა. თბილ." მითხარით ღვთის გულისათვის ეს ყველანი თბილისში ვცხოვრობთ და არსებობს თუ არა თქმა „ნაფაშურზედ ღრიალი" და ჰნიშნავს თუ არა იგი, გვიან მოსვლას? 7, „იეფობა, საქონლის სხვართოდ ფას დაკლებით გაყიდვა. თბილ". აი ახალ-ახალი ამბავი. მოგეხსენებათ, კვირაცხოვლობის კვირას (დიდი ხნის შემოღებულია) თბილისის მოვაჭრეებს და მოაქვთ დამპალი, წამხდარი და ნაყარ-ნუყარი საქონელი, რაც წლის განმავლობაში უფუჭდებათ, უკლებენ ფასს (თუმცა ამითი სარგებლობენ და ხშირად უფრო მეტ ფასადაც ჰყიდიან) და ჰყიდიან. აი რისთვის მოუკრავს ყური და რაზედ აუგია ციხე-გალავანი და 8, აი ყველაზედ სამასხარო ეს არის. „მაშკარეთი", ფერუმარილით შეთუთხნული. კახ." აფსუს კახეთო! ვიცით ყველამ, რომ ყველა განათლებულ ქვეყანაში არის დღეს „მასკარადი", სადაც, რასაკვირველია, ყველა ბერიკა (ნიღაბი) აფარებული უნდა იყოს. ეს უამბნიათ უთუოდ კახელ გლეხის დედაკაცებისათვის და იმათაც, როგორცა სჩანს, თუ მართალია, უწოდებიათ ეს სახელი თავიანთებურად ყველა გაბერიკებულისათვის, ე. ი., ვინც ძალიან სახეს იულამაზებს. ნუ თუ „მაშკარეთის" გაგონებაზედ არ უნდა მოჰგონებოდა, ვინც უნდა ყოფილიყო ჩვენგანი, სიტყვა მასკარადი და ეთხოვნა,—ქართულ ლექსიკონში შეეტანეთ, უბინაო სიტყვააო.

ლადო აღნიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფელდმარშალ რობერტსმა შეუტყობინა მეფეკინგის მეციხოვნე ჯარს, რომ როგორმე მოახერხონ არ დამორჩილდნენ მტერს 11 მაისამდე, ინგლისის ჯარი დროულად დახმარებას დაუწყებს, და მაშინ ქალაქი განთავისუფლებულ იქნება. ამის გამო სამ გენერალს, რომ რობერტსის მიერ აღნიშნულ დროს მეფეკინგამდის მიაწიოს, გენერალი კარინგტონი, რომელიც ჯერ ბოლუვაიოში იმყოფება, რაზმის შეუერთდება. ამ სიტყვის გამოსვლამდე „რეიტერის სააგენტოს" წინასწარმეტყველები მეფეკინგის დროს ბრძოლის ასავალ-დასავალს გაჩვენებენ ...

ამ ცნობებით, როდესაც მეოთხე ჯარს, რომელსაც გენერალი კარინგტონი უფროსობს, მინდობილი აქვს დაიცვას როდეზია ბურების შესევისაგან და მფარველობა გაუწიოს ბეჩუანალენდს. ინგლისელები ჰფიქრობენ, რომ მეოთხე რაზმის ჯარი, რომელიც გენერალ კარინგტონის განკარგულებაშია, საკმაოდ ძლიერია ...

მოკლე დროს განმტკიცება დიდის ჯარის გადმოყვანა და მაზეგის გაბატონება შეუძლებელია ამ გზით.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად იტალიაში დაბა ს...ულისის მახლობლად ყაჩაღებს დაუჭერიათ ერთი მდიდარი მემამულე სკარამუცცა ... თხრილში ჩაუგდიათ. სკარამუცცის ცოლს ფოსტით წერილი მიუღია, რომელშიაც ყაჩაღები ატყობინებდნენ, რომ თქვენი ქმარი ჩვენთან არის და გამოისყიდეთო. ყაჩაღებს 6,000 ლირი მოუთხოვნიათ. ეს ფული დურგალს კიავეტტის გადაეცითო, სწერდენ ყაჩაღები. ცოლს გადაუცია კიავეტისთვის ფული და ყაჩაღებს სკარამუცცა გაუნთავისუფლებიათ. მემამულეს ვერ გაუგია ის თხრილი რა ადგილას არის, სადაც ის ჩააგდეს, რადგანაც ყაჩაღებს იმისთვის თვალები აუხვევიათ. პოლიციას კიავეტტი დაუპატიმრებია, მაგრამ დურგალს უთქვამს, რომ მე ყაჩაღებს არ ვიცნობ, ერთი ვიღაც ნიღბით ხამოფარებული კაცი მოვიდა, გამომართვა ფული და წავიდაო.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 აპრილი.

**პეტერბურგი.** დამტკიცდა საზოგადოების „რუსეთის" საზოგადო კრების დამტკიცება ანგარიში 1892 წლისა. შემოსავლების შემოსულა 14,438,558 მანეთი; ხარჯად გაუცია 8,783,797 მანეთი. პრემიების სათადარიგოდ ჩაურიცხავთ 3,120,182 მან. აქციონერებს თითო აქციაში დივიდენდად შეჰხვდებათ ოც-ოცი მანეთი. 1900 წლ. 1 იანვრისათვის სათადარიგო ფონდს შედგენია 34,873,761 მანეთი, გარდა იმ 4,000,000, რომელიც ძირითადი თანხად იგულება.

**ჩისტოპოლი.** პერმსა, ვიატკასა და უფას შორის უკვე დაიარება გემები.

**ტიუმენი.** დასავლეთ ციმბირის მდინარეებში უკვე დაიწყო ზღვაოსნობა.

**ლონდონი.** სმალდელიდგან იუწყებიან, რომ რობერტსის პროკლამაციამ დიდი გავლენა ვერ იქონიაო; ფერმები სულ თავ-მინებებულია უკვე და ცხენები და საქონელი წაყვანილია. შესანიშნავია, თუ რა სისწრაფითა და მოხერხებით ემალებიან და ეცლებიან მტერს ბურები თავისის ურმებითა. ეს გარემოება ინგლისის ჯარებზედ ძალიან ცუდად ჰმოქმედებს. როდესაც ინგლისელები სმალდელში მივიდნენ, ბურები სულ ხუთის მილის მოშორებით იყვნენ თავისის ურმებითა.

**იოჰანნესბურგი.** ამ წინაზედ იოჰანნესბურგში აფეთქებულ ქარხნის გვერდით მყოფს საავადმყოფო პანსიონში 37 კაცი მომკვდარა აფეთქების დროს.

**ბულუვაიო.** როგორც იტყობინებიან, პლუმერს ისევ ძველი ბანაკი თურმე უჭირავს; სალისბიურიდგან 100 კაცი მიჰსვლია. ჯარების სიმცირისა და იმის გამო, რომ ბევრი იმათგანი ავად არის, სიეჭვოა ძალიან, რომ მეფეკინგი განთავისუფლდეს. კორრინგტონს მალე ბულუვაიოში მიელიან; მისს ჯარებს უკვე ბანაკს უმზადებენ. სმალდელიდგან იუწყებიან, რომ რადგანაც მემარჯვენე ჯარმა უკან დაიხია ცოტათი, ბოტამ საჭიროდა სცნო, ტაბანჩუსაკენ მდგომმა მემარცხენე ჯარმაც უკან დაიწიოსო. მეფეკინგიდგან იუწყებიან, რომ ქალაქში მყოფს ჯარს 18 მაისამდის კიდევ შეუძლიან მტერს გაუმაგრდეს, მაგრამ საქმე ძალიან არის გაჭირვებული. სხვა და სხვა ავადმყოფობისაგან დაუძლურებულ ჯარს საკმაო საჭმელი ვეღარ ეძლევა. დიდის წვიმების გამო ციება და დიზენტერია მეტად არის გავრცელებული. ხშირია აგრეთვე სახადით ავადმყოფობა.

**სიმლა.** მთელს ინდოეთში შავი ჭირი შესამჩნევად შესუსტდა.

**ვაშინგტონი.** კრებამ, რომელსაც დაესწრნენ ორივე პალატისა და კონგრესის მრავალი წევრი და სხვა წარჩინებული კაცები, დაადგინა ისე მიეგებნონ ბურების დესპანებს, როგორც მიეგებნენ ლაფაიეტს, კოშუტს და პარნელს. დიდ მანიფესტაციებისთვის ემზადებიან.

**ნიუიორკი.** კომისია დიდის ამბით მიეგება ბურების დესპანებს. დადგენილებაში ნათქვამია, რომ ქალაქის გამგეობა „სალამს უძღვნის დესპანებს და არწმუნებს, რომ ნიუიორკის მცხოვრებნი დიდის თანაგრძნობით ადევნებენ თვალ-ყურს გმირულს ბრძოლასო". დადგენილება შეწყნარებულ იქნა ყველას მიერ ერთის წინააღმდეგ.

27 აპრილი

**სმალდელი.** მტერი ზანდის ნაპირებს ანთავისუფლებს და ვაალის მდინარესაკენ იწევს. მეორე ცნობებით, ბურები ბოშრანდთან იყრიან თავს. ბურგერთა დიდი ნაწილი მივიდნენ ინგლისელებთან და გადასცეს მაუზერის თოფები და ცხენები. ამბობენ, რომ ორანჟეს და ტრანსვაალის ბურებს შორის დიდი უთანხმოებაა და უეჭველია ამას ორანჟეს ბურების მხრივ მორჩილების განცხადება მოჰყვებაო. ფრენჩი რობერტსის ჯარს შეუერთდა.

**ვენა.** ჩეხები განაგრძობენ ობსტრუქციას. კათოლიკეთა დასმა წინადადება შეიტანა, რომელსაც აზრადა აქვს შესცვალოს შინაგანი წესდება, რათა ამითი ობსტრუქციას ხელი შეეშალოს.

**ტაგანროგი.** აზოვ-დონის ბანკის 1899 წლის ანგარიში განახილა მეაქციეთა კრებამ და დაამტკიცა. წმინდა მოგება 1.421,154 მან. 98 კაპ. დივიდენდად აღრიცხულია 1.200,000 მან., რაც აქციაზედ 40 მან. მოდის. დადგენილია შუამდგომლობა იქნას აღძრული გამგეობის პეტერბურგში გადასატანად.

**ნიჟნი ნოვგოროდი.** ხუროთ-მოძღვარმა ნიკიტინმა უსიამოვნების დროს რევოლვერი ესროლა თავისს ცოლს და მოჰკლა. მკვლელი დაპატიმრებულია.

**ბუდაპეშტი.** მუნკაჩი დიდის ამბით დაასაფლავეს.

**მასსერუ.** ლედი-ბრანდი და ფიქსბურგი დასტოვეს ბურებმა. მოხელეებს დავთრები და საბუთის ქაღალდები წაუღიათ. გაუქმებულია ყოველივე, რაც-კი ცხად ჰყოფდა ომის დაწყებისა და ბურების მაუზერის თოფებით შეიარაღების გარემოებას.

**კაპშტადტი.** უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ტრანსვაალის საერო ბანკი მტრის დაწესებულებად არ ჩაითვლება რადგან ტრანსვაალის მთავრობა არ არის იქ უმთავრესი პაის პატრონიო.

**ლონდონი.** ტრინროზეს ლიგის წლიურს კრებაზედ სალისბერიმ სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ ევროპის სახელმწიფონი, რამდენადაც ცნობილია, ინგლისის მიმართ მშვიდობიანად არიან, მაგრამ ამისდა მიუხედავად მთავრობას სიფრთხილე ჰმართებს. ინგლისს მხოლოდ თავის ძალ ღონის იმედი უნდა ჰქონდეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მრავალს სახელმწიფოში ცნობილი ნაწილი მცხოვრებლებისა, რომელიც იმედი მაქვს, მრავალ-რიცხოვანი არ არის, მაგრამ ძლიერ მოხმაურე-კია, არავითარს მოსაზრებას არ უფრთხება და სცდილობს სახელი გაუტეხოს ინგლისს მის მიერ სამხრეთ-აფრიკაში დაწყებულ ომის გამო. ეს ალაგ-ალაგ თავ ჩენილი ინგლისის მიმართ სიძულვილი ნიშანია სულ სხვა მიმართულებისა, რომელსაც ინგლისს შეიძლება ერთს მშვენიერს დღეს ანგარიშის გაწევა მოუხდეს. შემდეგ სალისბერიმ დასძინა, რომ ინგლისის მტრისაგან დაცვა მთელის ერის საქმე უნდა იყოს და არა მარტო მთავრობისაო. უნდა გამოვიწვიოთ საერთო სურვილი, რომ ინგლისის ერი შეიარაღებულ ერად გარდაიქცესო.

---

**შეცდომის გასწორება:** გუშინდელ №-ის დეპეშაში ვენიდგან შეცდომით გამოშვებულია ორი სტრიქონი; ნათქვამია: „ჩეხიაში დანიშნულია ხუთი ერთ-ენიანი გერმანელთა ოლქი, სადაც..." აქ „სადაც"-ის წინ უნდა იყოს: „ხუთი ჩეხელებისა და ორიც ენა შერეული ოლქი", სადაც...

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

უღრმეს მ დლობას მოვახსენებ როგორც პირადად მე, აგრეთვე ქიათურის საზოგადოებისა და სკოლის მოსწავლეების მხრივ შორაპნის მაზრის შავის ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს, რომელმაც ქიათურის საეკლესიო-სამრევლო სკოლის შენობა თავისის ხარჯით შეკეთა, გაუკეთა სკოლას მშვენიერი აგურის ინგლისური ღუმელი, შემოსწირა კედლის საათი, ღირებული 14 მან., შკაფი სკოლის წიგნთ-საცავისთვის, ღირებული 16 მანეთად და გამოუწერა ამ მიმდინარე წლისათვის, „ჯეჯილის" გარდა, რუსული საყმაწვილო თვიური ჟურნალი „Игрушка" და საკვირაო რუსული სასულიერო ჟურნალი „Русскій Паломникъ"-ი. ამ პატივცემულმა საბჭომ წარსულ წელსაც დიდი დახმარება აღმოუჩინა ჩვენს სკოლას. (იხილე 1899 წ. „ივერიის" მე-263 №-რი).

ქიათურის საეკლესიო-სამრევლო სკოლის მასწავლებელი ბესარიონ ვაშაძე

---

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

### სისხლის სამართლის პირველი დეპარტამენტი

5 მაისი

საქმე სერაფიონ თალაკვაძისა, რომელსაც პოლიციის ბოქაულის თანაშემწის სოსიეს წინააღმდეგობა ედება ბრალად.

სანინო საჯაიასი, რომელსაც სასჯელთა დებულების მე 9, მე-1459 მუხ. მე-2 ნაწ. და მე-1630 მუხ. აღნიშნული ბრალი ედება.

გლახუნ და ყაისარ ღლონტისა, რომელთაც აქციზის მოხელისა და იმისს დარაჯთა ცემის ბრალი ედება.

ვარლამ ლოლუასი, რომელსაც სიყალბის ჩადენის ბრალი ედება.

ერმილე ეფრემიძისა, რომელსაც გატაცების ბრალი ედება.

2 მაისი

საქმე მიხეილ კვაშილავასი, რომელსაც სასჯ. დებ. მე-1653 მუხ. აღნიშნული ბრალი ედება.

მელიტონ და ნოე ცეცხლაძეთა და აბრამ ბეჟ ნოვისა, რომელთაც ქურდობის ბრალი ედებათ.

თეოფილე კვარაცხელიასი, რომელსაც სასჯ. დებულებ. მე-1525 მუხ. აღნიშნული ბრალი ედება.

8 მაისი

საქმე სევერიანე კებხიანძისა და ნესტორ ტყეშელაშვილისა, რომელთაც სასჯ. დებულ. მე 1651 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

ალექსი გოგიასი, რომელსაც სასჯ. დებ. 1453 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

### მესამე სამოქალაქო დეპარტამენტი.

2 მაისი

დავანი, რომელნიც გამოწვეულ იქმნენ შორაპნის მაზრის აგარაკ ხოხოულას გამიჯვნის დროს.

16 მაისი

დავანი, რომელიც გამოწვეულ იქმნენ გორის მაზრის აგარაკ ხარულას და ოზურგეთის მაზრის აგარაკ ვაკის-ჯვარის გამიჯვნის დროს.

---


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს; რომ გამგეობის სადგომში ამა წლის 29 აპრილს, დღის 12 საათზედ, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, რათა იჯარით იქმნას გაცემული ქვა-ფენილის დაგება სასახლის ქუჩასა და მადათოვის კუნძულზედ, ნიკოლოზის ხიდის ორ ნაწილს შუა, ზომით 700 ოთხ-კუთხი საჟ. ეს ქუჩები უნდა დაგებულ იქმნას ხაქსის (*гранитъ*) ქვით, ისეკი, რომ საფუძველი ბეტონისა ჰქონდეს. ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებთ პირობათა შეტყობა შეუძლიანთ ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეთა გარდა, დილის 9-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(3—6.—3)

---

გამოვიდა ახალი წიგნები:

ა) **უკვდავთა ლელადებანი** ფასი: ყდით 20 კაპ., უყდოთ 15 კ.

ბ) **ქართული მწერლობა მე-XI-მდე**, ფასი 40 კაპ.

გ) **Царица Тамара**, ფასი 50 კ.

დ) **Груз. обители внѣ Грузіи**, ფ. 25 კ.

ე) **Истор. груз. церкви**, ფ. 40 კ.

(20—უ.—1)

---

ამა წლის პირველ აპრილიდგან

## დაბ. ქარელიდან დ. ცხინვალამდე
## ივლის ომნიბუსები

კაცის თავზე ფასი 90 კაპ. ომნიბუსი ქარელიდგან გავა პირველ საათის ნახევარზე და მივა ცხინვალს 4 საათის. ცხინვალიდგან წამოვა დილის შვიდ საათის და იქნება ქარელს ათის ნახევარზე.

ომნიბუსების პატრონნი: აბელ კალატოზიშვილი და თ. ა. ნ. ციციშვილი.

(10—6.—7)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 27-го Апрѣля 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე